საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

№ 822/03 "01" 05 2013

შემოსავლების სამსახურის საბაჟო
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი მღებრიშვილს

ბატონო გიორგი,

„ინტლექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის მე–6 პუნქტის შესაბამისად გიგზავნით „ოოო "ნაუჩნო ტეხნოლოგიჩესკაია ფარმაცევტიჩესკაია ფირმა "პოლისან"-ის სახელზე ლიცენზიით გაცემულ სასაქონლო ნიშნებზე „REAMBERIN", „ЦИТОФЛАВИН", „CYCLOFERON", „РЕАМБЕРИН", „CYTOFLAVIN" სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე საქპატენტის თავმჯდომარის 2013 წლის პირველი მაისის ბრძანებების დამოწმებულ ასლებს თანდართული დოკუმენტაციით.

დანართი: 50 ფურცელი

პატივისცემით,

სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული
აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ქურდიანი

შემოსავლების სამსახური
შემოსავლის № 41499/21
17.05 13 წ.

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "01" 05 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 588/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 29 აპრილის N დმ-826545 განცხადებით პატენტრწმუნებულმა ხათუნა იმნაძემ მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „REAMBERIN" (რეგ. N 826545) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „REAMBERIN" (რეგ. N 826545) საქართველოში რეგისტრირებულია 24.02.2004 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 24.02.2014 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „REAMBERIN" (რეგ. N 826545) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადით 24.02.2014 წლამდე (მოთხოვნის რეგისტრაციის N 235, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 01.05.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; საქართველოს პატენტრწმუნებულს ხათუნა იმნაძეს (მის: თბილისი, შარტავას ქ.18, ბ. 15).